ორი შეჯიბრება

მეტად საინტერესო იყო 6 ივნისის მატჩი. **დნეპროპეტროვსკის ფეხბურთელთა გუნდი "დინამო" ამ დღეს ტფილისის "დინამოს"** შეხვდა. 10 000 მაყურებელი.

მოსკოველი მსაჯის სასტვენის ხმაზე მწყობრად გამოდის ტფილისის "დინამო" შემდეგი შემადგენლობით: დოროხოვი, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ანიკინი, გაგუა, პაიჭაძე, ძმ. ბერძენიშვილები, პანინი, სომოვი და ასლამაზოვი.

თამაში იწყება. უამრავი მაყურებელი გაფაციცებით ადევნებს თვალს თამაშს და შედეგს ელის. თამაშის დაწყებისას სტუმრების მიერ აღებული ინიციატივა მალე ტფილისელთა ხელში გადავიდა, მაგრამ ტფილისელთა თამაშს ხელს უშლის ქარი. ბურთი კარების ნაცვლად "ჰაუტში" ტრიალებს. მიუხედავად მწვავე "ბრძოლისა" პირველმა ტაიმმა შედეგი ვერ მოგვცა.

მეორე ტაიმი ტფილისელთა იერიშით იწყება. ბურთი დნეპროპეტროვსკის კარებთან ტრიალებს, ტფილისელი **ასლამაზოვის** მაგარი დარტყმით პირველი ბურთი ეხვევა დნეპროპეტროვსკის ბადეში.

თამაში ძლიერდება, ტფილისელი ცენტრთავდამსხმელი **პაიჭაძე** ბურთს მოხდენილად მიაქროლებს, ერთი ლამაზი კომბინაცია და ბურთი კვლავ დნეპროპეტროვსკის კარებშია.

ტფილისი უფრო აძლიერებს თამაშის ტემპს. იერიშები იერიშებზე მიაქვს. ბურთი უვარდება ხელში ტფილისელ **მ. ბერძენიშვილს,** რომელიც ნელა, მაგრამ მეტად მოხერხებულად ურტყამს კარებში. დნეპროპეტროვსკის მეკარე ვერც ამ ბურთის აღებას ახერხებს.

სტუმრები ცდილობენ შესცვალონ ანგარიში, მაგრამ მცველების შავგულიძის, ნიკოლაიშვილის და გაგუას საუკეთესო თამაშის მეოხებით ყოველივე თავდასხმა უშედეგოდ რჩება. უხეში თამაშისათვის სტუმრები ჯარიმდებიან: ბ. ბერძენიშვილი 20 მეტრიდან მეოთხე ბურთს ახვევს სტუმრების ბადეში.

თამაშის დამთავრებამდე ტფილისელი თავდამსხმელი ბ. ბერძენიშვილი კვლავ სცვლის ანგარიშს და ამრიგად თამაში მთავრდება 5:0 ტფილისის "დინამოს" ბრწყინვალე გამარჯვებით.

ტფილისის ფეხბურთელთა გუნდი, "დინამო" მიემგზავრება მოსკოვსა და ლენინგრადში. მოსკოვში ტფილისის "დინამო" შეხვდება სტალინის სახ. ქარხნის გუნდს და "სერპ ი მოლოტს", ხოლო ლენინგრადში სტალინის სახ. ქარხნისა და "სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდს.

ტფილისის "ლოკომოტივი" ოდესაში შეხვდება "დინამოს", ხარკოვში _ "სპარტაკს" და კიევში _ "ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდს.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 9 ივნისი, 1936 წ.